ცნობის ფურცელი

№ 2325 კვირა, 16 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2325

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერთ ურიგდებათ კალოშების ფირმის „რუს-ამერიკელ რეზინის მანუფაქტ.“ ამხანაგობის გ ნცხადება.

წარ. 20, ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 16 ნოემბერს, 1903 **წ.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

და-ძმა

დრამა 5 მოქმ. 6 სურ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: ვ. აბაშიძის საბენეფისოდ 18 ნოემბერს ახალი პიესა „ქმართა სკოლა“.

რეჟისორი **აკაკი**

ქართული თეატრი

სამშაბათს, 18 ნოემბერს, 1903 წელს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვ. აბაშიძის საბენეფისოდ** ახალი პიესა

I

ქმართა სკოლა

კომ. 3 მოქმ. მოლიერისა, თარგ. მაჭავარიანისა.

II

ფული და ხარისხი

კომედ. 3 მოქმ. აზიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 16 ნოემბერს, 1903 წ., გაიმართება ორი წარმოდგენა დილით

სევილიელი დალაქი

საღამოთი

ფრანჩესკო და რიმინი

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რენე-რადინა, კარტავინა, კარრი, სკორუპსკაია, სელიუკ, არციბაშევა, ლელინა; ბ-ნნი: დარსკი, ფიგნერი, ჯირალდონი, ილიუშჩენკო, სანგურსკი, სელივინი, გრინევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 17 ნოემბ. გამოსათხოვებელი წარმოდგენა და ბენეფისი ჯირალდონისა. (ნ.)

გამგეობა ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ 3 დეკემბრისათვის დანიშნულია წლიური

ჩვეულებრივი კრება

ხსენებულ საზოგადოების წევრთა. კრება მოხდება ქართულ თეტრის ფოიეში, საღამოს 7 საათზედ.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედების ანგარიშისა 190²/₃ წლისა,
2. განხილვა და დამტკიცება 190³/₄ წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა;
3. არჩევანი სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და ორის კანდიდატისა.
4. არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა, რადგან ეხლანდელი წევრები გამგეობისა თანამდებობას თავს ანებებენ, და სამის კანდიდატისა. და 5. არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (უ. 3—1)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაჭისა. (წლ.)

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდურ ოვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—13)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, ს ახლოვ ანტაპარმაკლიძისა. (20—ნ.—18)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

საზღვარ-გარედ

იაპონელ მეზღვაურთა აზრი რუსეთთან ომზე

რუსეთთან ომი ყველაზე ძლიერ იაპონელ მეზღვაურთ სწყურიანთ. ესენი, თითო ოროლას გარდა, სულ ომის მომხრეები არიან. ადმირალი ინოუე და ვიცე-ადმირალები ხიტაკა და შიბაიამა გულ-მხურვალედ არწმუნებენ იაპონიის ხალხსა და მთავრობას, რუსეთს ახლავე ომი გამოუცხადოთო. ადმირალები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, მანჯურიაში გალაშქრება სულაც არ დაგვიჭირდებაო. ზოგიერთ იაპონელ პოლიტიკოსს ტყუილად ეშინიან ამ ომისაო. რუსეთი პირველ შეტაკებაშივე დაჰკარგავს თავის ფლოტს დიდ ოკეანეში და ამით შორეულ აღმოსავლეთში თავის უმთავრეს ძალასაც დაჰკარგავსო. რა-კი პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკს წავართმევთ, რუსეთის ჯარი აღარ გაჩერდება შორეულ აღმოსავლეთში, სულ ერთია, ვეღარას გახდებაო. ოღონდ ომი-კი დაიწყოს და მანჯურიაში ხელად ავაფრიალებთ „ამომავალ მზის“ ბაირაღსაო.

იაპონიის ფინანსთა მინისტრად ნამყოფი გრაფი ვატანაბეც ამ მეზღვაურებს ემხრობა; ესეც ომის გამოცხადებას თხოულობს. ვატანაბეს ამას წინად ეთქვა:

განა, აქაო და ფული გვაკლიაო, ომს უნდა შევუშინდეთ? განა ჩვენი ხალხი ამ საქმეს მთელ თავის სიმდიდრესა, მთელ თავის დოვლათს დიდის ხალისით არ შესწირავს! რას გვარგებს სიმდიდრე, თუ კი ჩვენს ერს სიკვდილი მოელის? რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ, თუ სიმდიდრისა და ფულის გულისათვის დამოუკიდებლობასაც დავკარგავთ!

თავდაპირველად უნდა ვეცადნეთ, რომ „ამომავალ მზის“ კაშკაშა სხივი არ ჩაჰქრეს. დანარჩენი-კი, სიმდიდრე და ფული, თავისთავად მოგვეცემა, თუ ჩვენ ეხლა ღირსეულად თავგამოდებით გამოვესარჩლებით ჩვენ უწმინდეს უფლებას ჩვენის ქვეყნის დამოუკიდებლობას.

ოღონდ ომი კი დაიწყოს და მთელი ქვეყნიერობა აშკარად დაინახავს, რომ იაპონიის ხალხი არა თუ მარტო ფულს, სიცოცხლესაც არ დაიშურებს და ამ წმინდა საქმეს ანაცვალებს“.

ომის მომხრეები ამბობენ, მართალია ფული არ გვაქვს, მაგრამ რუსეთს ხელად ვაჯობებთ, კონტრიბუციას გადავახდევინებთ, ფულს გავიჩენთ, სიღარიბიდან ამოვალთო.

ომის მოწინააღმდეგენი ამშვიდებენ, აწყნარებენ იაპონიის ხალხსა და ბეჯითად ურჩევენ, ომსა მორიგება სჯობიაო. მორიგების მომხრეს ბარონ კანეკოს ამას წინად ომის თაობაზე ულაპარაკნია და ომის მომხრეების ქცევა სასტიკად გაუკიცხავს. კანეკოს უთქვამს: ბისმარკსა და მოლტკეს საფრანგეთ-გერმანიის ომის წინ, 1870 წელს, ომსა და გამარჯვებაზე ხმაც არ ამოუღიათო, ესპანია კი დიდის ამბითა და ალტაცებით ემზადებოდა ამერიკასთან საომრად და აკი სამარცხვინოდაც დამარცხდაო. ცალ მხარეზე ეკონომიურად ძლიერი ამერიკა გვყავს მეზობლად, მეორე მხარეს დიდის სამხედრო ძალის პატრონი რუსეთი. ამიტომ ჩვენთვის უფრო სასარგებლო იქნება ჩვენის ეკონომიურისა და სამხედრო ძალის განვითარებაზე ვიფიქროთ და სახიფათო საქმეებს მოვერიდნეთ!

იაპონურ პრესის აზრი კორეის საქმეზე

ვლადივოსტოკიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს:

„იაპონურმა პრესამ ბოლოს დროს, ცოტა არ იყოს, მანჯურიის საქმეს თავი ანება და კორეიის საქმეზე დაიწყო ბეჯითად წერა. რუსეთის გაბატონება ჩრდილოეთ კორეიაში ძლიერ აფიქრებს იაპონურ გაზეთებს. ამათის აზრით, ეს უფრო საშიშია იაპონიისათვის, ვიდრე მანჯურიის დაპყრობა. სეულიდან ატყობინებენ ტოკიოს გაზეთებს, მას აქეთ, რაც კორეიაში რუსეთის გავლენა გაძლიერდა, იაპონიის ვაჭრობა კორეიაში თვალ-საჩინოდ დაეცაო“.

რუსეთის ფლოტი შორეულ-აღმოსავლეთში

შორეულ-აღმოსავლეთიდან ამბავი მოვიდა, რუსეთის ესკადრის გემები მომეტებულ ნაწილად ეხლა პორტ-არტურში დგანანო, ჩინეთის ნავთ-სადგურებში სამი სამხედრო გემი დგა და კორეის ნავთ-სადგურში—ერთი. რამდენიმე გემი კვანტუნის ნახევარ-კუნძულისაკენ გაჰგზავნეს.

რას აპირობს ჩინეთი?

პეკინიდან ცნობა მოვიდა, ჩინეთის მთავრობამ 6 ოქტომბერს რუსეთის ელჩს ბ-ნ ლესარს წინადადება მისცა, რუსეთმა მანჯურიიდან ჯარი გაიყვანოსო, თუმცა კი მთავრობამ წინადვე იცოდა, რომ ამ წინადადებიდან არა გამოვიდოდა რა. ჩინეთი ჯერ გადაწყვეტით არას ამბობს, ჯერ რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების დასრულებას ელის. ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იმ აზრისაა, რომ რუსეთი და იაპონია მანჯურიისა და კორეის საქმეს საბოლოოდ გადასწყვეტენ. ეტყობა, მინისტრი დარწმუნებულია, რომ ჩინეთის აზრი არაფერ გავლენას არ იქონიებს რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებაზე.

რუსეთის წინადადება მანჯურიის თაობაზე

როგორც ვიცით, რუსეთმა მანჯურიის თაობაზე ახალი პირობა წარუდგინა ჩინეთის მთავრობას და მოსთხოვა, უსათუოდ უნდა დაამტკიცოთო. ამაზე ჩინეთის მთავრობამაც და იაპონიამაც პროტესტი გამოუცხადეს რუსეთს. თუმცა ეს პირობა დღესაც დამტკიცებული არაა, მაინც ურიგო არ იქნება იმის შინაარსი გავიცნოთ. იაპონური გაზ. „კოკუმინ“-ი სწერს, რუსეთის პირობა, სხვათა შორის, ხუთი ამნაირი მუხლიაო:

1) მანჯურიის ძიან-ძუნებს (გუბერნატორებს) და ყველა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეს ჩინეთის მთავრობა და რუსეთის ელჩი ერთმანეთის თანხმობით დაჰნიშნავენ და დაითხოვენ. ჩინეთის ჯარი მანჯურიაში რუსეთის ელჩის კანტროლ ქვეშ იქნება. თუ ჩინეთის ჯარს ხუნხუზებთან ბრძოლა გაუჭირდება, რუსეთის ჯარი დახმარებას გაუწევს ჩინეთს.

2) იმ სახელმწიფოების საქონელი, რომლებიც ამ ხელ შეკრულობაში მოხსენებული არ არიან, მანჯურიის ბაზრებში არ უნდა იყიდებოდეს. უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომებს ნება არა აქვთ, მანჯურიაში მადნეში და მაღაროები აიღონ სამუშაოდ.

3) მანჯურიის ტამოჟნები ორსავ სახელმწიფოს, რუსეთისა და ჩინეთის, კანტროლ ქვეშ უნდა იყოს. მანჯურიის რკინის გზა ჩინეთს 20 წლის შემდეგ უნდა დაუბრუნდეს; ეს ვადა ხელშეკრულობის დამტკიცების დღიდან იანგარიშება. სხვა სახელმწიფოები მანჯურიაში რკინის გზებს ვერცააშენებენ, ვერც შეიძენენ.

4) ფოსტა და ტელეგრაფი რუსეთისა და ჩინეთის მოხელეების ხელში იქნება. თუ მოხელეები რამეს დააშავებენ, ან ერთმანეთში უთანხმოება მოუვათ, ყველა ამ საქმეს რუსეთის ელჩი გაარჩევს და გადასწყვეტს.

5) თუ ამ ხელ-შეკრულობის თაობაზე რუსეთს ან ერთს, ან რამდენსამე სახელმწიფოსთან ომი მოუვა, ჩინეთმა რუსეთის მხარე უნდა დაიჭიროს. თუ ჩინეთი უარს იტყვის დახმარებაზე, რუსეთი მარტოკა იომებს და თუ გაიმარჯვებს, მთელ მანჯურიას დაიპყრობს, მაშინ ჩინეთმა თავისი მოხელეები მანჯურიიდან უნდა გაიყვანოს; უბრალო ხალხს კი შეიძლება მანჯურიაში ცხოვრების ნებაც მისცეს

რუსეთი ახალ რკინის გზას იძენს ჩინეთში

ინგლისური გაზ. „ნორდ შინა დაილი ნიუს“-ი იუწყება, შანჰაი-გუანიდან ნიუჩუანამდე გაყვანილი რკინის გზა მალე რუსების ხელში გადავაო. ჩინელები (ინგლის-ჩინეთის საზოგადოება) დიდის ხალისით უთმობენ ამ რკინის გზას, რადგან ეს გზა ზარალის მეტს არას აძლევთო. მართალია, ამ გზიდან არც რუსეთს ექნება ხეირი, მაგრამ რუსეთს შანჰაი-გუანის ხელში ჩაგდება სწადიანო. გაზეთი სწერს: გვიკვირს, რომ ინგლისი ასე დაუდევნელად, უდარდელად იქცევა და რუსეთს ხმას არა სცემს ამ საქმეზე. ამ რკინის გზის ახლო-მახლო ადგილებში ინგლისის ვაჭრობა ეხლავე შეირყა. თუ რუსეთი მართლა მოახერხებს და ამ რკინის გზას ხელში ჩაიგდებს, მაშინ გზის ახლო მდებარე ქვა-ნახშირის მაღაროებსაც რუსები დაეპატრონებიან. ამ მადნებისათვის მხოლოდ პატარა ტოტის გაყვანა დასჭირდებათ, მაგრამ ამ ტოტის გაყვანა სულ ადვილი და მეტად სახეირო საქმე იქმნება, რადგან იმ მადნებში მეტად კარგი ქვა-ნახშირია. ჯერ-ჯერობით ამ საქმეზე მოლაპარაკებაა გამართულიო. გაზეთი უმატებს, ეს ცნობა სარწმუნო კაცებისაგან მივიღეთო.

ფეიქრების გაფიცვა საფრანგეთში

გაზეთები იუწყებიან, ფეიქრების გაფიცვა საფრანგეთში გათავდაო. ადგილობრივმა მექარხნეებმა ჩრდილოეთ-დეპარტამენტის პრეფექტს წერილით შეატყობინეს, თანახმა ვართ მუშებს სამუშაო ქირა მოვუმატოთ და ყველა გაფიცული მუშა უკლებლივ სამუშაოდ მივიღოთო. ეს განცხადება პრეფექტმა ადგილობრივ ქალაქის მოუარვს შეატყობინა, მოურავმა კიდევ მუშებს გადასცა. ამის შემდეგ, გაფიცულმა მუშებმა კრება მოახდინეს და დაადგინეს, დაუყოვნებლივ მუშაობა დავიწყოთო. ამას გარდა მუშებმა დაადგინეს, პრეფექტსა, დეპუტატ ჟოსესსა და „რეველ დიუ ნორდ“-ის რედაქციას მადლობა გამოვუცხადოთ დახმარებისათვისაო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ატიუტანტის **თავ. გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობის ბიულეტენი: ტემპერატურა დილით 38,0 საღამოთი 37,9; მაჯა 68. თვით-გრძნობიერება საკმაოდ კარგი აქვს. გუშინდელმა ანთებამ იკლო. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო, და გადომსკი.

15 ნოემბერი, საღამოს 8 საათი.

◆ როგორც ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ განცხადებიდანა სჩანს, **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** წევრთა წლიური კრება დანიშნულია 3 დეკემბრისათვის. გამგეობას სამსახურის ვადა გასდიოდა 1904 წლის გაზაფხულზე, მაგრამ გადაუწყვეტია, ეხლავე გადადგეს თანამდებობიდან, ამიტომ სამ დეკემბერს მოხდება გამგეობის წევრთა არჩევანი. ამას გარდა კრებამ უნდა განიხილოს წარსულის წლის ანგარიში და მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. კრება მოხდება ქართულ თეატრის ფოიეში.

◆ შორაპნიდან გვწერენ: 15 ნოემბერს, 5 საათს და 15 წუთზე, 10 კაცისაგან შემდგარი **ყაჩაღთა ბრბო თავს დაეცა ფოსტას**, რომელიც მთავარ შტოზე მყოფ მატარებლიდან ჭიათურის მატარებელზე გადაჰქონდათ. ყაჩაღებმა სროლა ასტეხეს და დასჭრეს ზურგში ფოსტალიონი დომენტი გოგოლაშვილი. ფეხში მსუბუქად დასჭრეს ჟანდარმი ცნორენკო, რომელმაც სროლითვე გასცა პასუხი. ყაჩაღები ისე დაიმალნენ, რომ ფოსტის გაძარცვა ვერ მოასწრეს. დაჭრილთ შემწეობა აღმოუჩინეს.

◆ 14 ნოემბერს სხდომა ჰქონდა მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველ კომისიას. კომისიამ განიხილა მოხსენება ტფილისში ეგრედ წოდებულ **საავადმყოფო გადასახადის** შემოღების შესახებ. როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, ასეთი გადასახადი შემოღებული ყოფილა პეტერბურგსა, მოსკოვსა, ხარკოვსა, როსტოვსა, ოდესასა, ვლადივოსტოკსა, კრონშტადტსა, ბათუმსა და სხვაგან. მომხსენებლის აზრით, ქალაქს საავადმყოფოს ასაგებად ერთხანად დასჭირდება 384,000 მან. აქედან რომ გამოვაკლოთ ის 100,000 მან., რომელიც ბ-ნმა არამიანცმა შესწირა, ქალაქს დასჭირდება მხოლოდ 284,000 მან. ამ ფულის შესაძენად სასანიტარო ინსპექტორის აზრით, ქალაქმა უნდა აიღოს საობლიგაციო სესხი, 375,000 მანეთი. წელიწადში საავადმყოფოს შენახვა დაჯდება 130,000 მანეთი. ეს ფული სამკურნალო გარდასახადით უნდა შემოვიდეს. ინსპექტორის აზრით, გარდასახადი თითო სულზე უნდა დაწესდეს 1 მ. 50 კაპ. გადასახადის გამღები ტფილისში 71,060 სულამდე იქნება და წელიწადში ქალაქს შემოუვა 146,000 მან. საავადმყოფოს გადასახადი უნდა გაიღოს ყველამ, ვინც ქალაქში 1 თვეზე მეტს იცხოვრებს და 14 წლისაზე უფროსი იქნება. მოხსენება კომისიამ პრინციპიალურად მოიწონა, ხოლო საჭიროდ სცნო ნამდვილი ცნობების შეკრება იმის შესახებ, რამდენია მცხოვრები ამ ჟამად ტფილისში და სხვა. კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას, დანიშნოს შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა, საფინანსო კომისიისა და ხალხის ჯანმრთელობისთვის მზრუნველ კომისიისა. ამ შეერთებულმა სხდომამ ეს საკითხი უნდა განიხილოს ხელ-მეორედ და შემდეგ წარუდგინოს საბჭოს. კომისიამ დაადგინა აგრეთვე დაავალოს სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს ნამდვილი სტატისტიკური ცნობები, მოიპოვოს ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ ტფილისის საადრესო სტოლიდან.

◆ გუშინ, 15 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო **ანდერძი ალექსანდრე შადინოვისა**, რომელსაც ქალაქისათვის დაუტოვებია მამულები, მდებარე სმოლენსკის გუბერნიის შემდეგ მაზრებში: გაჟიენდიგორსა, დოროგობუჟისა, იუხნოვისა, ბელსკისა და ვიაზმის მაზრებში. ეს მამულები სადავოა და საქმის მოსაგებად ქალაქ ტფილისს 10,000 მანეთამდე დასჭირდება თითქმის. მოგების შემდეგ, მამულები უნდა გაყიდოს და გამგეობამ აქციოს სარგებლიან ქაღალდებად. აღებულ ფულიდან 1. 10,000 მანეთი უნდა მიეცეს ყოველ წლობით მზითვად ტფილისის ღარიბ მცხოვრებ ქალებს; 2. 1000 მანეთი უნდა მიეცეს ტფილისში სომხეთა მოღნინის ეკლესიას; 3. ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში უნდა დაწესდეს ორი საწოლი მოანდერძისა და მისის მეუღლის სახელობაზე; 4. ერთი საწოლი უნდა დაწესდეს ტფილისის საზოგადოების „იასლი“-ში; მე-5. დანარჩენი ფული უნდა გადაიდოს სასწავლებლებში სტიპენდიების დასანიშნავად მოანდერძის სახელობაზე.

◆ ტფილისის მცხოვრებელმა ლუიზა მადერმა გუშინ გამოუცხადა ქალაქის გამგეობას, რომ იგი **შესწირავს ქალაქს** 10,000 მანეთს იმ პირობით, თუ სულით-ავადმყოფთა თავშესაფარში გაიმართება იმის სახელობის ერთი საწოლი და პირველ ხანს ეს საწოლი დაეთმობა იმის შვილს ფრიდრიხ მადერს, რომელიც 15 წელიწადია ავად არის თურმე. ფრიდრიხ მადერის გარდაცვალების შემდეგ საწოლი უნდა დაეთმოს კავკასიაში მცხოვრებ ავადმყოფ ლიუტერანს. ქ-ნი მადერი თავის განცხადებაში სწერს, ვიდრე სრულიად შემოვიტანდე 10,100 მანეთს, ქალაქმა დაიჭიროს ჩემი ადგილი კიროჩნი ქუჩაზე; თუ ჩემს შვილს ეხლავე მიიღებთ ქალაქის სამკურნალოში, წელიწადში 400 მანეთს გარდავიხდი იმ დრომდე, ვიდრე 10,000 მანეთს შემოვიტანდეო.

◆ ბაქოში არსებობს მანქანების მკეთებელი და სავაჭრო საზოგადოება. ამ საზოგადოების გამგეობამ შეატყობინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭოს, რომ საზოგადოების ქარხნები შეუდგნენ **საუკეთესო სისტემის გუთნების კეთებასაო.** გამგეობა სთხოვს საბჭოს შეატყობინოს შემდეგი ცნობები: 1. კავკასია ნიადაგის მხრით რამდენ ნაწილად შეიძლება გაიყოს; 2. რომელი მაზრები შედიან თვითეულ ნაწილში; 3. როგორის სისტემის გუთნები უფრო შესაძლებელია გავრცელდეს ამა თუ იმ რაიონში; 4. დაახლოვებით რამდენი გუთანი საღდება ამ ჟამად კავკასიის მცხოვრებთა შორის და 5. რომელ მაზრაში უფროა მოთხოვნილება.

◆ ამ ჟამად კიევის უნივერსიტეტის კლინიკებში მუშაობს **ოთხი ქართველი ექიმი:** სიმონ გოგიტიძე, ალექსანდრე ბალარჯიშვილი, ნიკოლოზ მრევლიშვილი და ალექსანდრე თუმანიშვილი. ოთხივე ორდინატორებად ითვლებიან საავადმყოფოებში. ამათ შორის სიმონ გოგიტიძე ამ მოკლე ხანში დაიცავს დისსერტაციას მედიცინის დოქტორის ხარისხის შესაძენად. როგორც ამბობენ, სიმონ გოგიტიძე უნივერსიტეტის მთავრობას ჰსურს დასტოვოს პრივატ-დოცენტად საექიმო ფაკულტეტზე.

◆ **ხორცის დუქნების** გამგე-კომისიის დადგენილებით, ქალაქის დუქნებში ვაჭრობა 15 ნოემბრიდან სწარმოებს დილის $6^1/_2$-დან დღის 12 საათამდე და საღამოს $5^1/_2$-დან 9 საათამდე.

◆ უწმ. სინოდის გადაწყვეტილებით, „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას“ დაენიშნა 12,000 მანეთი **სკოლების გასაუმჯობესებლად** და მასწავლებელთათვის ჯამაგირების მოსამატებლად.

◆ **სოხუმის ქალაქის** გამგეობასაც განუზრახავს ხორცის დუქნის დაარსება. ამისათვის სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს ის ცნობები, რაც ტფილისში ხორცის დუქნების მოწყობასა და, საზოგადოდ, ხორცის ვაჭრობას შეეხება.

◆ როგორც კიევიდან გვატყობინებენ, ხმა დადის თურმე, რომ **ეპისკოპოსი კირიონი** კიევში გადაჰყავთ, რადგან კიევის სემინარიის რექტორს ხერსონში ეპისკ. კირიონის ადგილზე ჰნიშნავენ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახავს ზოგიერთ **სადგურის ელექტრონით განათება.** ამისთვის გამგეობას 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანია 164,000 მანეთი.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ დაავალა სახელმწიფო და კერძო **სასოფლო სამკურნალოებს**, წარუდგინონ გამგეობას ანგარიში სამკურნალოების მოქმედებისა მდგომარე წლის განმავლობაში.

◆ უწმ. სინოდს ნება დაურთავს ქუთაისის დედათა გიმნაზიის მასწავლებელი, მღვდელი ალექსი გიორგაძე **უეგზამენოდ** მიღე-

---

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

გრძელი და მოკლე სიტყვა.—ერთის სტუდენტის წერილი.—რისთვის გვინდა ენა!—ბეზღობა, მექრთამეობა და სხვა და სხვა.—ახალი ამბები.

„მოკლედ იტყოდეთ, თუ გინდათ, რომ ყური გიგდონ, ეცადეთ ცოტა სიტყვით ბევრი თქვათო“. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამათ კარგიო“... მოკლედ გამოთქმული ფელეტონიც კარგი იქნებოდა, სათქმელიც ბევრი არაფერია, სულ რამდენიმე სიტყვით, ერთის სიტყვით ვიტყოდი იმას, რაც უნდა ითქვას, რომ...რომ...,მაგრამ ამაზე ბოლოს იყოს!

საკვირველია! ამას წინად ერთს დაწესებულებაში თხოვნა შემოვიდა, რომელშიც მთხოვნელი მოკლედ ამბობდა, სასურველია ეს ადგილი მომცეთო. ყველას ეუცხოვა ასეთი ლაკონიკური ქაღალდი, უზრდელობად და თავხედობად მიიღეს. თავიდანვე ყველაფერში ისე ვართ მიჩვეული, რომ ათადანბაბადან დავიწყოთ, მოვყვეთ აქაურ-იქაურს, ცა და დედამიწას შევეხოთ, გავიხსენოთ ადამ და ევას გაჩენა, პონტიის პილატეზეც ვილაპარაკოთ, გლადსტონზე, ბისმარკზე, საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, ზამთარ-ზაფხულზე, ერთის სიტყვით მეცნიერების ერთი დარგი აღარ დარჩება, რომელსაც ჩვენ არ შევეხოთ, მაგრამ პირდაპირ ჩვენი საგანი, რომელზედაც უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ, თითქმის მთლად გვავიწყდება და თუ რასმე ვამბობთ იმის შესახებ, ისე, რომ ძნელი გასაგებიცაა ჩვენი აზრი. რად?

მეფელეტონეებსაც ხშირად ასე მოგვდის. ხშირად სათქმელი აზრი ფელეტონის გარედ რჩება. ნუ გაგიკვირდებათ, ყველანი ერთნაირ პირობეში ვართ... „გამგონი გაიგონებსო“, ბრძნული ქართული ანდაზაა.

**

ერთს საუნივერსიტეტო ქალაქიდან მწერენ: „კარგი ხანია ჩვენს ქალაქში შესდგა ქართველ სტუდენტთა წრე, რომელმაც განიზრახა დღევანდელის ცხოვრებისათვის მეტად საჭირო ხელობის, კარტის-ბილიარდის თამაშის, შესწავლა, ამიტომ გადასწყვიტა ყოველ დღიური ვარჯიშობა იქონიოს აქაურ საეკლესიო სასტუმროში. თავის დადგენილების თანახმად წრე აგერ ორი თვეა, რაც გამუდმებით იკრიბება და მეტად დიდს ნიჭსაც იჩენს ერთმანეთის ძარცვა-გლეჯასა და ყვლეფაში. ამ ჟამად ამ წრეს განუზრახავს, გამოსცეს მოკლე დროში ყოველ კვირეული გაზეთი „ბანქო და ბილიარდი“, რომელშიაც მოთავსებული იქმნება ყოველგვარი წერილები, რეფერატები, ანგარიშები, აგრეთვე კარიკატურები იმათ შესახებ, ვინც მათ წრეს არ ეკუთვნის. რადგან მარტო ამ წრის ძალა საკმარისი არ არის ამისთანა დიადი საქმის განსახორციელებლად, ამიტომ წრეს სურს, სხვა ქალაქების ქართველ სტუდენტებიდანაც მოიწვიოს თანამშრომლებად კარტის მოთამაშე ძმა-ბიჭები. იცის, რომ ასეთები ბლომად არიან, სიხარულით მიეგებებიან მას განზრახვას და თავიანთ შემწეობას არ მოაკლებენ.

„ამ ახალის ქართულის გაზეთის რედაქტორობას კისრულობს ერთი აქაური ქართველი სტუდენტი, რომელიც მეექვსე წელიწადია აქ არის, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ კარტი-ბილიარდი ჰქონდა აღებული სპეციალურად შესასწავლად და მართალი უნდა ვთქვათ, ზედმიწევნითაც შეისწავლა საგანი. ამ წლიდან იგი დატოვებულ იქნა ზემოხსენებულ სასტუმროს პრივატ-დოცენტად და ოფიციალურად შეუდგა ლექციების კითხვას კარტის თამაშის შესახებ. რედაქტორის თანაშემწედ იქნება ერთი ახლად ჩამოსული სტუდენტი, გამომცემლობას ჰკისრულობს ერთად რამდენიმე კაცი, ზოგი მათგანი ცოლის მზითევით, ზოგი ამხანაგებისაგან წართმეულ ფულით და ერთი კი X-შვილის სტიპენდიით.

„რა თქმა უნდა, ასეთ მეთაურების ხელში საქმე კარგად წავა და იმედია, ჩვენი სტუდენტების გულშემატკივარნი და კარტ-ბილიარდის მოთამაშე ჩვენი ინტელიგენცია წრეს და მის რედაქციას მხარს დაუჭერენ, დაეხმარებიან, გაამხნევებენ, რომ ფრიად სასახელო საქმეს არ უღალატონ და მით სამშობლოს ვნება არ მოუტანონ. თვითონ წრესაც დიდი იმედი აქვს ქართველ ინტელიგენციისა, რომლის გულმხურვალობა და გამბედაობა კარგად ცნობილია ასეთ საქმეებში.

„არის აქ მეორე წრეც, რომელსაც მიზნად აქვს, რაც ამ ქალაქში ლუდი და არაყია, სულ თავიანთ მუცელში ჩაისხან, და ამით თავისი გმირობა და მამულიშვილობა დაამტკიცონ. ამ წრემ ქართულ ისტორიიდან იცის, რომ ერთხელ ზაქარია მხარგრძელმა თავხედ ელჩს მაგარი სილა აჭამა. მოწონს ეს და ამიტომ ცდილობს, რაც შეიძლება მეტად ავარჯიშოს თავისი მხარ-მკლავი. ამასთანავე რადგან წრის წევრები დიდი პატრიოტები არიან, ქართველებს მაინცადამაინც არაფერს უშავებენ, მაგრამ რუსი, სომეხი და სხვა ვინმე თუ შეხვდათ სადმე, ლაზათიანად დაუზელენ გვერდებს. ამათაც განუზრახავთ ყოველკვირეულის გაზეთის გამოცემა, სახელად „მუშტი-კრივი„ ერქმევა, გაზეთს სურათებიანი დამატებაც ექნება „ლუდი და ცემა-ტყეპა“, სადაც ამ საგნის პროფესორი, გაზეთის რედაქტორი და მომავალი ექიმი—თავის ლექციებს მოათავსეენ და ყველას თვალსაჩინოდ აუხსნიან, თუ როგორ უნდა დალიოთ ბევრი ლუდი, ან მოწინაამდეგეს სხეულის რომელ ადგილზე უნდა შემოარტყათ, რომ მაშინვე პატივისცემით გაიმსჭვალოს თქვენდამი და ქართველთა გმირობა აქოს. თანამშრომლად ერთი ქართველი სტუდენტის ცოლიც ჩაწერილა.

„ამ ჟამად ორივე წრეს მოლაპარაკება აქვთ, რომ ხშირად შეერთდნენ და რედაქტორებმაც შეერთებულის ძალით იმოქმედონ. ვფიქრობ, რომ ეს შეერთება მალე მოხდება, და მაშინ აქაური სტუდენტების ბედს ძაღლი არ დაჰყეფს“...

ასე გვწერს ამ ამბებს ერთი ქართველი სტუდენტი და ჩვენც აღვნიშნავთ მათ ჩვენს ფელეტონში, როგორც ცხოვრების სურათებს.

**

ერთ ჩემს წინანდელ ფელეტონში მოყვანილი მქონდა გორის ბიბლიოთეკის ამბავი, რომელშიაც ათასნაირი ჟურნალ-გაზეთი მოიპოვება და ქართული არც ერთი. მე გავიკვირვე ასეთი სწორედ გასაკვირველი ამბავი. არ გასულა იმის შემდეგ ერთი კვირა, რომ დიდი საყვედურის ქაღალდი მოგვივიდა რედაქციაში ბიბლიოთეკის გამგესაგან (ბიბლიოთეკა სამრევლო სკოლასთან არსებობს)

ბულ იქმნას კიევის სასულიერო აკადემიაში. ახალი სტუდენტი-მღვდელი ამ მოკლე ხანში აღიკვეცება ბერად. მ. გორგაძე გალობის მშვენიერი მცოდნეა. კიევის აკადემიის ხორის ლოტბარობას იმას აბარებენ.

◆ ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველმა კომისიამ დაადგინა სხდომები პარასკევობით იქონიოს ხოლმე.

◆ განჯის ქალაქის გამგეობა სთხოვს ტფილისას გაუგზავნოს ტფილისის საბჭოს მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი შეშით ვაჭრობის შესახებ.

◆ 15 ნოემბრისთვის საჯარო ვაჭრობა იყო დანიშნული ალექსანდრეს ბაღის ნაპირად ქალაქის ოთხ დუქნის გასაცემად. რადგან ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველი იმ დღეს არავინ გამოჩნდა, ვაჭრობა შემდეგ დროისათვის გადაიდო. თუ 1 დეკემბრამდე დუქნები იჯარით არავინ აიღო, თითონ ქალაქის გამგეობა აწარმოებს.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის-მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 168.** შინაარსი ამ ნომრისა: „ჩანჩურა“, მ. ადამაშვილისა, სურათები: იაპონიის ცხოვრებიდან—4, „მაკედონელების მოსვლა ბოლგარიაში“ და ერთი კარიკატურა.

შინ და გარედ

35.

ხუთშაბათს საღამოს სამწუხარო ამბავი მოხდა ქართულ თეატრში.

წარმოსადგენად დანიშნული იყო „კრეჩინსკის ქორწინება“, რომელშიაც რასპლიუევის როლი ბ. ალექსი-მესხიშვილს უნდა ეთამაშნა; ნამდვილად-კი დაიწყეს „პედაგოგების“ წარმოდგენა. აიხადა თუ არა ფარდა მეორე მოქმედების წინ, თეატრში ხმაურობა დაიწყო. ხალხი ყვირილითა და ტაშისცემით სალამს აძლევდა იქვე, პარტერში, მჯდომ ბ. ალექსი-მეხიშვილს და მუქარის სიტყვებს ისროდა დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიმართ. სკანდალი იმდენად გაძლიერდა, რომ წარმოდგენის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა.

ეს სამწუხარო ამბავი ამნაირად აგვიხსნეს: წინა დღით უსიამოვნობა მოსვლიათ გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ქართველიშვილს დ არტისტ ბ. ალექსი-მესხიშვილს; უკანასკნელს შეურაცხყოფად მიეღო, რომ იმ პიესას („გულისთქმას“) აღარ ადგენენ, რომლისათვისაც იგი დაბარებული იყო ქუთაისიდან,—შეურაცხყოფად მიეღო და, როგორც ამბობენ, თავის მხრით შეურაცხყოფა მიეყენებაა გამგეობის თავმჯდომარისათვის. გამგეობას იმ ღამესვე ჰქონია სჯელობა ამის შესახებ და დაუდგენია არტისტის გამორიცხვა დასიდან. სწორედ გამგეობის ამ დადგენილებამ აღელვა დამსწრენი ხუთშაბათს და გამოიწვია სკანდალი.

ეს ინციდენტი მეტად სამწუხაროდ მიმაჩნია და, ჩემის აზრით, ყველა დამნაშავეა: დრამატიულ საზოგადოების გამგეობაც, არტისტი ბ. ალექსი-მესხიშვილიც და თეატრში იმ საღამოს მყოფ საზოგადოების ის ნაწილიც, რომელმაც სკანდალი მოახდინა.

გამგეობა მეტად აჩქარებულა და სასტიკი დადგენილება მოუხდენია. ვსთქვათ, ბ. მესხიშვილმა მართლა საშინლად შეურაცხჰყო გამგეობის თავმჯდომარე და მასთან მთელი გამგეობაც. ნუ-თუ ამას შედეგად უნდა მოჰყოლოდა არტისტის გაძევება? ბ. მესხიშვილი ქართულ სცენის ნიჭიერი და საზოკადოების საყვარელი არტისტია. ვერ წარმომიდგენია ისეთი გარემოება, რომელმაც ჩვენს სცენას უნდა დააშოროს მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, გარდა სიკვდილისა ან დავრდომისა. ეს არტისტები და ორიოდე სხვა შეადგენენ ჯერ ჩვენ თეატრს და მათი ასე ადვილად მოშორება არ შეგვიძლია... განა ეს პირველი მაგალითია? ვინ ჩამოსთვლის, რამდენი შეურაცხყოფა აუტანიათ ქართულ თეატრის წინანდელ გამგეთ ჩვენის არტისტებისაგან? რას იზამთ: არტისტები ყველგან ასეთებია, ნერვებით ცხოვრობენ და აფექტებს ვერ ებრძვიან, განსაკუთრებით ნიჭიერი არტისტები; ამიტომ, ვისაც მათთან საქმე აქვს, დიდი ტაქტი და სიფრთხილე ჰმართებს. მე მგონია, უკიდურესობამდე საქმე ძრიელ იშვიათად მიაღწევს, თუ გამგეობა დამშვიდებით და ტაქტიკით მოიქცა, თუ ყოველთვის სახეში იქონია დიადი საქმე, რომელსაც საზოგადოების მინდობილობით უდგია სათავეში. მაგალითად, ამ შემთხვევაში გამგეობას არ გამოუჩენია ეს ტაქტი და გულისთქმას აჰყოლია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ყველა ღონეს ცდიდა, ვიდრე თავის სასტიკ დადგენილებას მოახდენდა. რათ არ მოახდინა გამგეობამ საქმის გამოძიება? რათ არ მოსთხოვა ბ. მესხიშვილს აეხსნა თავისი საქციელი? რათ არ სცადა დაეჯერებინა იგი იმ დღეს, მეორე დღეს, ერთის კვირის შემდეგ, რომ თავმჯდომარე დამნაშავე არ იყო და შეურაცხყოფის ღირსიც არ უნდა გამხდარიყო? ვინ იცის, იქმნება ასეთს გამოძიებასა და ცდას დაერწმუნებინა არტისტი, რომ იგი შესცდა და მაშინ ის ხომ ბოდიშსაც მოიხდიდა? ყველა ამისა და სხვა ღონისძიებათა მაგიერ გამგეობა დასიდან ითხოვს იმ არტისტს, რომლის წასვლა, რასაკვირველია, შეუმჩნევლად არ დარჩებოდა...

მეორეს მხრით, როგორც ვთქვი, ვერც ბ. ალექსი-მესხიშვილს გავამართლებ. ნიჭი და დამსხურება არ უნდა აძლევდეს მას ნებას უდიერად მოეპყრას საზოგადოების მიერ არჩეულ პირთ. გამგეობაც იმავე დიად საქმეს ემსახურება, რომელსაც არტისტი; ემსახურება სიყვარულით, უანგაროდ და საზოგადოების მინდობილობით. უცოდველი არავინ არის და მით უმეტეს არ შეიძლება უშეცდომოთ ისეთის დიდისა და ცოცხალის საქმის წარმოება, როგორიც თეატრია. ვერ დავიჯერებ, რომ გამგეობა **განზრახ** ხელს უშლიდეს მესხიშვილს; პირიქით, ფაქტები მიმტკიცებენ, რომ გამგეობა დიდათ აფასებდა ნიჭიერს არტისტს. მაშ, არც ის უნდა აჰყოლოდა გულისთქმას. ამბობენ, ბ. მესხიშვილი არ სთვლის თავის თავს დამნაშავედ. არ მესმის, რას ჰნიშნავს ეს? თუ მას შეურაცყოფა არ მიუყენებია გამგეობის თავმჯდომარისთვის, შესაძლებელია განა იგი დაეთხოვათ დასიდან?! არა, ალბათ ბ. მესხიშვილმა „თავისი თავი ჩასთვალა შეურაცყოფილად და ამიტომ სამაგიერო უზღო თავჯდომარეს. ეს-კი შეცდომაა: ბ. მესხაშვილს თვისივე მდგომარეობა ქართულ სცენაზე, მნიშვნელობა და ღვაწლი, ავალებდნენ საქმე გამოერკვია და სიმართლის აღდგენა მოეთხოვა. ამ გზით იგი გამგეობასაც ზნეობრივად დასჯიდა, თუ უკანასკნელი უსამართლოდ მოექცა, ქართულ თეატრსაც არა სასურველ სკანდალს ააშორებდა და თავის უფლებასაც ღირსეულად დაიცავდა. სამწუხაროდ, ბ. მესხიშვილიც აჩქარებულა. საზოგადოთ უნდა ვსთქვა, რომ ზოგი ჩვენი პირველი არტისტები, დაიმედებული იმით, რომ ისინი საზოგადოებას უყვარს, თვისებობასა და სხვების აზუჩად აგდებას არაფრად აგდებენ. სამწუხაროა ეს გარემოება და დროა ჩვენმა განვითარებულმა არტისტებმა შეიგნონ სოლიდარობის და დისციპლინის საჭიროება...

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ხელს უწყობს არტისტების ამ ცუდ თვისებას. არ მახსოვს, რომ საზოგადოებას უკმაყოფილება გამოეცხადებიოს არტისტისათვის, როდესაც გაუგია მისი რამე დანაშაულობის ამბავი; სამაგიეროდ ხშირად აღნიშავს, რომ წინააღმდეგია გამგეობისა და არტისტს მხარს უჭერს. ეს მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს გამგეობას: მას აღარაფერი საშუალება არა აქვს არტისტთა თვითნებობა ალაგმოს და საზოგადო წესრიგს დაუმორჩილოს. საზოგადოება ირჩევს გამგეთ, ანდობს მათ დიდ საქმეს და ამავე დროს ხელ-ფეხს უბორკავს მათ: არამც და არამც ჩვენი საყვარელი არტისტების დასჯა არ გაბედოო. ეს ანორმალური წესია დ ძნელია ამ წესით საქმე რიგიანად მიმდინარეობდეს...

ხუთშაბათს ამ საზოგადოების ნაწილმა სკანდალით გამოუცხადა თავისი უკმაყოფილება გამგეობას, თუმცა არ იცოდა დანამდვილებით—იყო თუ არა გამგეობა ასეთის სკანდალის ღირსი. მართალია, საზოგადოება აღელვებული იყო არტისტის დასიდან გამორიცხვით, მაგრამ, განა ყველამ არ იცის, რომ ეს გამორიცხვა სამუდამო არ შეიძლებოდა ყოფილიყო? განა საზოგადოებას სხვა გზით არ შეეძლო თავისი სურვილი გამოეთქვა? ეხლა ხომ უარესად დატრიალდა საქმე? გამგეობა შეურაცხყოფილად სთვლის თავს და, როგორც დღევანდელ განცხადებიდან სჩანს, თავს ანებებს სამსახურს. როგორ უნდა ავირჩიოთ მათი მოადგილენი? რა გარანტიას მივცემთ მათ, რომ შეურაცხყოფისაგან დავიცვავთ და გაჭირვების დროს მხარს მივცემთ? ვერა, ვერ მოვიწონებთ საზოგადოების ამგვარს ჩარევას არტისტებისა და გამგეობის ურთიერთობის საქმეში და ვიწვევთ საზოგადოების უფრო შეგნებულ ნაწილს ხალხის დასამშვიდებლად იღონონ ხოლმე ღონე ამგვარ შემთხვევის დროს.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ 31 ოქტომბერს კრასნოვოდსკში „კავკაზ-მერკურის“ საზოგადოების საგენტოს მიუღია ბაქოდან გაგზავნილი საქონელი, როგორც ქაღალდში ყოფილა აღნიშნული, „ნადირის ხორცი“. საქონელი სკივრში ყოფილა ჩაწყობილი. მიღების დროს შეუმჩნევიათ, რომ სკივრიდან გახრწნილ ხორცის სუნი ამოდიოდა. მაშინვე გაუხსნიათ და ნადირის ხორცის მაგივრად სკივრში ვიღაც ხანში შესულ ქალის გვამი უნახავთ. გვამის გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ ქალისათვის ყელზე რაღაც მოუჭერიათ და ისე დაუხრჩვიათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ „ვესტ. ოდეს. გრად.“-ში დაბეჭდილია ოდესის გრადონაჩალნიკის განკარგულება: „ორის კვირით დაპატიმრებულ იქმნას ოდესის მოქალაქე ხიმოვიჩი, რომელიც პოლიციის განკარგულებას, „დაიშალეთო“ არ დამორჩილდა დ აქეზებდა ხალხს პოლიციის საწინააღმდეგოდ.

◆ 6 ნოემბერს კიევის გუბერნატორს კიევისა და კიევის განაპირა ადგილებში მცხოვრებთათვის გამოუცია სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც აკრძალულია „ყოველ გვარ საზოგადო და საჯარო შენობებსა, ფაბრიკებსა, ქარხნებსა, სახელოსნოებსა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებსა და კერძო სახლებში სახელმწიფო წესწყობილებისა და საზოგადო მშვიდობია-

---

რუსულად დაწერილი, ტყუილსა სწერთ, ქართული გაზეთი გვაქვსო, სეპარატულის გრძნობით ხართ გამსჭვალული, ათასნაირი რამე გეჩვენებათო. ჩვენ და ჩვენება?! როდესაც იმასაც კი არ ვხედავთ, რაც ნამდვილად არის!... მაგრამ ცოტა არ იყოს დამაფიქრიანა გამგეს მოწერილმა ქაღალდმა და შესაფერს დროს ვუცდიდი, რომ ბოდიში მომეხადა. მხოლოდ ამ დღეებში ერთ გაზეთში ასეთი კორესპონდენცია წავიკითხე: „გორის ტაძრის სიახლოვეს კედელზედ შემდეგი სიტყვები დავინახე: Горiйская народная безплатная библiотека-читальня. გორში!... სამკითხველო? განცვიფრებაში მოვედი. შევედი ბიბლიოთეკაში, დავჯექ სკამზე სტოლის ერთ კუთხეში. შემდეგ მივიხედ-მოვიხედე, გადავავლე სტოლს თვალი, სადაც აუარებელი გაზეთები ეყარა, თვალები ამიჭრელდა, გონება აირ-დაირია და ტვინი ამიდუღდა. რომ სათითაოდ ჩამოვთვალო რაც იქ გაზეთებში იყო, ერთ გაზეთში არ დაეტევა, მაგრამ მკითხველის საყურადღებოდ რამდენიმეს დავასახელებ: „მოსკოვსკია ვედომოსტი“, „რუსკი ვესტნიკ“, „სვეტ“, „რუსკოე ჩტენიე“, „დუხოვნი ვესტნიკ“, „რუსკი პოლომნიკი“, „როდნიკი“ და სხვა და სხვა მრავალი ამისთანა და ძლივს... ძლივს მოსჩანდა ერთი ქართული გაზეთი“...

ეს ქართული გაზეთიც ალბად იმიტომ მოსჩანდა, რომ ბიბლიოთეკის გამგე იურიდიულად მართალი გამოვიდეს და ჩვენვე ვესაყვედუროს აქეთ. დამნაშავენი ჩვენა ვართ თურმე!..

* *

თურმე კი არა, ნამდვილად! ნამდვილად სჯერა ზოგიერთს ჩვენთაგან, რომ დანაშაულობა თუ არის, ეგ ჩვენი დანაშაულობაა. ერთი უცნობი ვინმე ძალზე მიწყრება, რას ჩააცივდი შენს ფელეტონებში ქართულს ენასაო: რა ნივთია ქართული ენა, ვინ გვართმევს, ან რომ წაგვართვან, რას დავკარგავთო. ჩემი უცნობი მოწინააღმდეგე მეტად გაუნათლებელი ადამიანი უნდა იყოს, ეტყობა, და მის წერილს აქ არ მოვიყვან. საყურადღებო ისაა, რომ თავის თავს ხალხის წარმომადგენელად სახავს, ხალხისთვის ენას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მხოლოდ თქვენ, მეგაზეთეებს, ინტელიგენტებს გაწუხებთ, რომ ქართულ გაზეთებს და წიგნებს ცოტანი კითხულობენ, გაწუხებთ იმიტომ, რომ ამით თქვენ შემოსავალი გაკლდებათო. ჩვენს ავტორს გლეხების სიტყვებიც-კი მოჰყავს საბუთად: გლეხებისაგან ბევრჯერ გამიგონია, რომ მათთვის სულ ერთია, რა ენაზედაც უნდა ილაპარაკონ, ოღონდ შიმშილით ნუ მოგვკლავენო. აქედან ცხადია, რომ ჯერ სიცოცხლე და მერე ენაო“.

შეიძლება, მართლაც ხშირად ვლაპარაკობდე ჩემს ფელეტონებში ენის შესახებ, მაგრამ ძალა უნებურად არ შეგიძლია გაჩუმება, როდესაც ჰხედავ არამც-თუ ზემო მოყვანილ, გარეშე პირებისაგან მოვლენილ ფაქტებს, არამედ თვითონ ქართველებისაგანაც გესმის ამ უცნობის პირის მსგავსი აზრები, როდესაც ენას ცხოვრების გარეშე სტოვებენ, ცხოვრება ესმით რაღაც აბსტრაქტიულად, ვითომც რომელიმე ცხოვრების არსებობა და განვითარება შეიძლებოდეს უენოდ. პირველის შეხედვით ადვილად შეცდება ადამიანი ენის შესახებ, იგი უხილავია და თავის თავად არ შეადგენს ერის ბედნიერებას. ენას ფასი აქვს როგორც საშუალებას, ენაში ვაფასებთ იმ საუნჯეს, რომელიც მხოლოდ მომიპოვებს და მით გადაიცემის. უენოდ არამც-თუ შეუძლებელია ის ცხოვრება, რომელიც მომავლის იდეალად დაგვისახავს, არამედ შეუძლებელია დღევანდელი ცხოვრებაც. ოღონდაც რომ შიმშილით მოკვდება უენოდ ადამიანი! რისთვის ვლაპარაკობთ ამდენს ენის შესახებ? იმიტომ, რომ იგი ერის პიროვნება, მისი თვითარსებობაა, მისი თვითმოქმედება. იმიტომ, რომ ენაში ერის ინდივიდუალობაა და თუ მოისპობა ეგ ინდივიდუალობა, მოესპობა ერს ყოველი შემოქმედებითი ნიჭიც! ერის ბუნება იშლება მის ენაში და თუ შებორკილია მისი ენა, როგორ უნდა გაიშალოს და განვითარდეს მისი ცხოვრება?..

* *

მართალია, ენა თავის თავად ვერ მოსპობს, მაგალითად, ჩვენის ცხოვრების უკულტურობას: ბეზღობა—„დანოსობას“, გამცემლობა-იუდობას, მექრთამეობას, „ჟამთა სიმწარეს, მტარვალისაგან ჩაგვრას, სიამაყის თავგასულობას, მართლ-მსაჯულობის გვიანობას, მძლავრთ უკმეხობას, შეურაცხყოფას ღირსეულისა უღირსისაგან“, მაგრამ თავისუფალი ენა და მისგან განუშორებელი სიტყვა შეჰქმნის იმ ძალას, რომელიც სპობს ერთსაც, მეორესაც, მესამესაც! მაშინ აღარ იქმნებოდა მწერლობა სამარცხვინო მდგომარეობაში; მაშინ აღარ დაუწყებდა გაზეთი იმის მტკიცებას მკითხველებს, რომ „ბეზღობა“ „მედანოსობა“ სათაკილო და საზიზღარი სენია ადამიანისა. ბეზღობა საიდუმლო მკვლელობაა კაცისა; მაბეზღარი თავის მოპირდაპირეს ვაჟკაცურად შეხვედრას ვერ უბედავს, იცის, რომ მისი ჩირქიანი იარაღი სინათლეში არ გამოდგება; ამიტომ მიისწრაფვის სიბნელისაკენ თავის დასამალავად, და ბნელით მოცულ სოროდან ცდილობს თავის საბრალო ადამიანის ზნეობრივად დაცემასა და მოკვლას.

მეორე მეგაზეთე მალე მოწინავე წერილს დაგვიწერს იმის შესახებ, რომ მექრთამეობა—უზნეობაა, და საბუთიც ექნება, რადგან ამას მოითხოვენ მისგან გარშემო არსებული ფაქტები...

* *

ამ კვირაში ზედი-ზედ რამდენიმე ახალი ამბავი დაიბეჭდა გაზეთებში: პალმის გაზეთი იუწყება, რომ სოხუმის ეპარქია უნდა ჩამოაშორონ საქართველოს საექსარხოსოს. იგივე გაზეთი გვარწმუნებს, რომ სოხუმის ეპარქიის ყველა ეკკლესიაში, გარდა ორისამისა, წირვა-ლოცვა სლავიანურ ენაზე სწარმოებსო. იმავე გაზეთში ვკითხულობთ: სვანეთი უნდა შეუერთდეს სოხუმის ეპარქიასო. ამასთანავე მეორე რუსულმა გაზეთმა გვაცნობა, რომ გურია უნდა ჩამოეცალოს სამეგრელოს ეპარქიას და შეუერთდეს იმერეთს, ხოლო სამეგრელოსა და ბათუმის ოლქისათვის არსდება ცალკე ეპარქია, რომლის კათედრა გადატანილი იქნება ბათუმშიო...

ბევრი პლუსია ერთად. ნეტავ ჯამი რას შეადგენს? გამოიანგარიშეთ, მკითხველო! ყველა ამ ამბის გამო ერთი ქართული გაზეთი სწერს: „დაუჯერებელია და სტყუის ოპერეტის არტისტიო (პალმი)“. მეტს ხომ ვერაფერს ვიტყვით! „დაუჯერებელია“!—რა დაურღვეველი საბუთია! „ოპერეტის არტისტი“!—„ვიშ ვაჟკაცობავ!...

სიტყვა

ნობის წინააღმდეგ სამოქმედოდ და მოსალაპარაკებლად კრებათა და ყრილობათა გამართვა.

◆ 1904 წლის 1 იანვრიდან აღმოსავლეთ ციმბირში შემოღებულ იქმნება მაგარ სასმელების სახაზინო მონოპოლია.

◆ როგორც „ბირჟ. ვედ.“-ი გვაუწყებს, კურსკის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში მოსიარულე მასწავლებელთ პირველ დაწყებით სკოლებთან მოუწყვიათ საღამოს კურსები. კურსები ადგილობრივ მცხოვრებთა შორის დიდს ყურადღებასა და თანაგრძნობას იწვევს. მოსიარულე მასწავლებლებს წელიწადში ეძლევათ ჯამაგირად თითოეულს 540 მანეთი.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განუხილავს ახალ სააფთიაქო წესდების პროექტის რამდენიმე მუხლი. სხვათა შორის, საბჭოს ხმის უმეტესობით გადაუწყვეტია, რომ აფთიაქში შეგირდათ შესვლის მსურველთ მოეთხოვოს რუსეთის რომელისამე საშუალო სასწავლებლის ატესტატი და სამაგიეროდ შემცირებულ იქმნას აფთიაქში შეგირდების პრაქტიკულად მომზადება.

◆ საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტს განუხილავს საკითხი საოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა სკოლის გარედ თვალ-ყურის დევნების შესახებ. რადგან მოსწავლეთა სიმრავლისა და მასწავლებელთა სიცოტავის გამო ფაქტიურად თვალ-ყურის დევნება შეუძლებელია და, ამას გარდა, ასეთ თვალ-ყურის დევნება ხშირად უთანხმოებას იწვევს ბავშვების მშობელთა და მასწავლებელთა შორის, ამიტომ სამეცნიერო კომიტეტს გამოუთქვამს, სასწავლებელს გარედ თვალ-ყურის დევნება საჭირო არ არისო.

◆ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს დედათა გიმნაზიების პროგრამის ძირითადად შეცვლა. საქმის გადაწყვეტამდე სამინისტრომ სთხოვა გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოებს, პირველ დეკემბრამდე შეატყობინონ თავიანთი აზრი.

◆ კიევში 21 ნოემბრიდან გამოვა ახალი გაზეთი „Кіевскіе Отклики“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივ უნივერსიტეტის პროფესორთა უმრავლესობა. გაზეთი წელიწადში ეღირება 7 მანეთად.

პრესსა

„გროდნოს საეპარქიო უწყებაში“ დაბეჭდილია მშვენიერი ქადაგება არხიმანდრიტის ნიკოლოზისა, რომელმაც სასტიკად დაჰგმო ებრაელთა წინააღმდეგი არეულობანი.

> ებრაელთა აწიოკების და მათ ქონების გაძარცვის გაგონებაზე მწუხარება გიპყრობს და ქრისტიანთა მაგიერ გრცხვენია უცხოელებისა და სხვა სარწმუნოების ერთა წინაშე. სად მივდივართ და რა უფსკრულისაკენ მივისწრაფებით?! საზიზღარი ბოროტმოქმედებანი, რომელიც დროგამოშვებით ხდება რუსეთში ებრაელთა წინააღმდეგ, დარღვევაა ღვთის კანონებისა და მოქალაქის მოვალეობისა.
>
> ზოგნი ამ ბოროტმოქმედების გასამართლებლად ამბობენ ხოლმე: „ებრაელებს თავი განცალკავებით უჭირავთ; ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში უპატიოსნონი არიან, ატყუებენ ქრისტიანთ, უმთავრესად მდაბიო ხალხს და, აი, ამიტომ იკლებენ ხოლმე მათ ქრისტიანებიო“. ამგვარ მოსაზრებით ჰსურთ გაამართლონ ებრაელების აწიოკება. სამწუხაროა, რომ ასე სჯიან არა მარტო მდაბიო ხალხის წარმომადგენელნი, არამედ ბევრი განათლებულნიც. უკანასკნელთა სჯა-ბაასი ხალხის ყურამდე აღწევს და მასში მხეცურ ინსტიქტებს აღვიძებს, აღვიძებს უმიზეზო მძულვარებას ებრაელთა წინააღმდეგ.
>
> წმ. მოციქული პავლე ურჩევს ქრისტიანთ „ილოცონ ყველა კაცთათვის“, რადგან ეს კარგია და ასე ჰსურს ღმერთსაო; ზოგი ქრისტიანი-კი გაიძახის: დაჰკა ებრაელთ, ძარცვე მათი ქონება, რადგან ეს დაიმსახურაო...
>
> ამბობენ, ებრაელები უპატიოსნოები არიან ვაჭრობა-მრეწველობაში და ქრისტიანთ ატყუებენო. მაგრამ, ძმებო, მიჩვენეთ ისეთი ხალხი დედა-მიწაზე, რომელიც სრულიად პატიოსანი იყოს ვაჭრობასა და მრეწველობაში? ამ საქმეში ბევრი რამ არის მაცდური და ქრისტიანებიდანაც ცოტა რჩება შეუცოდველი. ჩვენ ვიცნობთ მრავალ ქრისტიანთ, რომელნიც უპატიოსნობით არ ჩამოუვარდებიან ებრაელთ. სინამ სხვებს გაჰკიცხავ, შენ თავს დაუკვირდი. მაცხოვარი ამბობს: „ორგულო! აღმოიღე პირველად დვირე თვალისაგან შენისა, და მაშინ იხილო აღმოღებად წვილი თვალისაგან ძმისა შენისა“. ჩვენ, ქრისტიანები,—წმ. მოციქულის პეტრეს სიტყვით,—ვართ „სამკვიდრებელად უხრწნელად და შეუგინებლად და დაუჭნობელად, დამარხულნი ცათა შინა, ნათესავი რჩეული, სამეუფეო სამღვდელო, თესლი წმიდა, ერი მოგებული“; ამიტომაც ჩვენ გვმართებს მაგალითი ვიყოთ ყველა ურწმუნოთათვის, ჩვენი სათნოება ლამპარივით ანათებდეს ყველას წინაშე. მაცხოვარი ამბობს: „ეგრეთ ჰბრწყინევდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა“. ხოლო რას წარმოადგენენ ეხლა მრავალნი ქრისტიანნი? ჭეშმარიტად მათ მეოხებით საგინებელი შეიქნა ქრისტიანის სახელი! სადღაა ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისადმი?..

შემდეგ მამა ნიკოლოზი სასტიკად ჰკიცხავს იმ ვითომდა განათლებულ მეგაზეთეებსა და მოღვაწეებს, რომელნიც ხალხს აქეზებენ ებრაელთა წინააღმდეგ და, ბოლოს, იწვევს ყველა ქრისტიანთ „ილოცონ ყველა ადამიანთათვის“, მათ შორის ებრაელთათვის, რომელნიც სხვებზე უფრო შევიწროებულ-შეწუხებულნი არიანო.

დაბა-სოფლები

სოფელი ზოდი (იმერეთი). დიდის ვაი-ვაგლახით გაათავა ხალხმა სიმინდის მოვლა-შენახვა. სიმინდის მოსავალი წინა წლის მოსავალს სჯობდა. გადაუღებელი წვიმების გამო ხალხი ძლიერ შეწუხებული იყო მოსავლის შენახვის დროს. ერთი თვეა მხოლოდ, რაც კარგი დარი დადგა. ახლა თავისუფალი ხალხი მარგანეცის მუშაობას მიჰყოფს ხელს. მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა: „შავი ქვას“ ამხანაგობამ შეაჩერა მუშაობა და სხვაგან კი მაგრე რიგათ არაფერი ხეირია.

ერთ კაცს განუზრახავს ჩვენში წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს კეთილი განზრახვა დაგვირგვინებულიყოს.

არ იქნა, არა ეშველა-რა ქურდ-ბაცაცების აღვირწახსნილობას. წვრილ-ფეხა საქონელს რომ აღარ დასჯერდნენ, სხვილ-ფეხა საქონელს მიჰყვეს ხელი. აგერ, სამი-ოთხი ცხენი დაიკარგა ამ ერთის ოვის განმავლობაში, მაგრამ ქურდს ვერავინ ამხელს.

ბოდ-ყორნისელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე-დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს გუშინ საღამოს ტემპერატურა ჰქონდა 37,3; მაჯა 68. დღეს ტემპერატურა 37, მაჯა 64. ძილი საკმაოდ კარგი ჰქონდა. ტკივილები აღარა აქვს. ჩირქი ისევ სდის. თვითგრძნობიერება კარგი აქვს.

ვინნიცა. კოროლენკოს გაუგზავნეს მისასალმებელი ადრესი, რომელსაც ხელს აწერს 256 ადამიანი.

ელისავეტგრადი. გამოვიდა პირველი ნომერი „ელისავეტგრადსკაია ნოვოსტი“-სა, რომელშიაც მოთავსებულია ტოლსტოის ჯერ დაუბეჭდელი წერილები. გაზეთი გვპირდება მთელ რიგს ასეთ წერილებისას.

ხარკოვი. სამთო მრეწველთა კრების საბჭოს წარმომადგენელის ცნობებით, მომავალ წელს სამთო ქარხნებს მილიარდ ფუთამდე საქონელი ექნებათ. ავდაკოვის მოხსენება, რომ სამთო მრეწველობას უკეთესი მომავალი მოელისო, დიდის თანაგრძნობით მოისმინეს მრეწველებმა. დონეცის მრეწველობის კრიზის თავდება.

სოფია.*) სულთანის მიერ რუსეთ-ავსტრიის რეფორმათა პროექტის პრინციპიალურად მიღება საქმეთა მდგომარეობას ნამდვილად ვერ აუმჯობესებს, რადგან ოსმალეთის მთავრობას ჯერ კიდევ არ განუხორციელებია ამნისტია.—სეფე სიტყვის პასუხის თაობაზე კამათის დრო ტეოდოროვს საერო კრებისათვის უცნობებია ოპოზიციის აზრი მთავრობის პოლიტიკის შესახებ; ტეოდოროვს გაუკიცხავს მთავრობა, რადგან მან შეზღუდა ხალხის უფლება და არჩევნების დროს უფლებას გადააჭარბა. ორატორმა განაცხადა, საგარეო პოლიტიკა არ არის გარკვეული, და მოსთხოვა სამინისტროს ახსნა იმისა, თუ რა გზას ადგია ისა. ტეოდოროვმა გამოსთქვა აზრი, რუსეთისა და ბოლგარიის ინტერესთა ერთობა აიძულებს ბოლგარიის ყოველ მთავრობას, რომ კონსტანტინეპოლში რეფორმათა საკითხის შესახებ განსაკუთრებულ პოლიტიკას ადგეს. ორატორმა სთქვა, მთავრობამ არას დროს არ უნდა აღადგინოს სტამბოლოვის დროო.

პარიზი. ინგლისის პარლამენტის მოღვაწეთა პატივსაცემლად გამართულ სადღესასწაულო ნადიმზე კომბმა სიტყვა წარმოსთქვა. კრებამ ინგლისის მეფეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ პარლამენტის მოღვაწეთა ერთმანეთის ნახვა განამტკიცებს მეგობრობას ორივე სახელმწიფოს შორის და უზრუნველ ჰყოფს საერთაშორისო მშვიდობიანობასაო.

პარიზი. ხელმწიფე დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და მარიამ პავლეს ასული, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და გარეშე საქმეთა მინისტრის წარმომადგენლები, ურუსოვი, მონტებელო, კარცევი და საელჩოსა და საკონსულოს მოხელენი.

რომი. ზოგიერთ ფრანგულ გაზეთის ცნობები, ვითომ საფრანგეთის სამფლობელოში იტალიის მეფე-დედოფლის მატარებლის რელსებიდან გადაგდება განეზრახოთ, სულ ტყუილი გამოდგა.

შანჰაი. ჩინეთის მეფის მოადგილეებმა და გუბერნატორებმა, ჩილის პროვინციის მეფისმოადგილის გარდა, წინადადება მისცეს იმპერატორს, უცხოელებისაგან გაწვრთნილ 90 ათასი ჯარის-კაცი რუსეთთან საბრძოლველად გავგზავნოთ, რადგან რუსეთმა მანჯურია დაიჭირაო.

პანამა. საერო კრებამ ერთხმად დაადგინა, ხელშეკრულობა არხის თაობაზე დავამტკიცოთო.

ლონდონი. დასაჯერი არაა ის ცნობა, ვითომ იაპონია მანჯურიას უთმობდეს რუსეთს იმ პირობით, თუ იაპონიას მოქმედების თავისუფლება მიეცემა კორეაშიო.

ოდესა. სავაჭრო ზღვაოსნობის სასწავლებლის შენობა აკურთხეს; შენობა ხაზინისა, ქალაქისა და ვაჭრების ხარჯით აავეს; 250 ათასი მანეთი დაჯდა.

ბერლინი. რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობაზე ჯერ-ჯერობითი მოლაპარაკება 15 ნოემბერს დასრულდება. ამის შემდეგ მოლაპარაკება მოკლე ხნით შეწყდება.

პეტერბურგი. აქ, მოსკოვსა და პროვინციაში დიდის ამბით დღესასწაულობენ ხელმწიფე-დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს.

15 ნოემბერი

პეტერბურგი. 14 ნოემბერს ხელმწიფე-იმპერატორისაგან ნაბოძები 10 ათასი მანეთი დაურიგეს წყალდიდობისაგან დაზარალებულთ, პეტერბურგის მცხოვრებთ. წინა დღით შეადგინეს სია იმ ოჯახებისა, რომელნიც წყალდიდობისაგან დაზარალდნენ; სია გაჰყვეს ორ ნაწილად, იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენად დაზარალებული იყო. ამ სიის მიხედვით ფული დაურიგდა ნამდვილ ღატაკ მცხოვრებთ.

სოფია. იმპერატორმა ვილჰელმმა წერილით აცნობა პრინცესა კლემენტინას, მაწუხებს მდგომარეობა გარდახვეწილთა, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ ცხოვრების სახსარს, და მინდა დავეხმარო მათ, ამისთვის მივანდე გერმანიის წარმომადგენელს სოფიაში 2000 ფრანკი პრინცესას ჩასაბარებლადო.

კიშინევი. სამოსამართლო პალატის მიერ არეულობათა შესახებ პირველ საქმის განხილვა ძლიერ გაჭიანურდა. მოულოდნელ გაჭიანურებისა გამო ძნელი სათქმელია, თუ როდის გათავდება განხილვა. ნაფიცი ვექილი შმაკოვი, როგორც თავმჯდომარე მოსკოვის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტისა, წლიურ ანგარიშის რევიზიისა და სხვა აუცილებელ საქმეებისა გამო იძულებულია მოსკოვს დაბრუნდეს. შმაკოვმა საქმის დაცვა პოკაჟევს მიანდო.

ბუშარი. ლორდმა კერზონმა სპარსეთის ყურეს ნავთ-სადგურების გუბერნატორის პატივსაცემლად გამართა ნადიმი. ნადიმზე შაჰის სადღეგრძელო წარმოსთქვა და გაიხსენა ინგლისსა და სპარსეთ შორის ძველთაგანვე არსებული მეგობრული განწყობილება. გუბერნატორმაც ინგლისის მეფის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

---

*) მთავრობის წრეებიდან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

საღამოს კურსები

ვიყვან შეგირდებს ჭრა-კერვისა და სხვა-და-სხვა ხელ საქმის სასწავლებლად,

ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 99, ს. არამიანცისა, ელისაბედ პეტრეს ასული ირემაშვილი.

(2—698—1)

ვეძებთ ალაგს ერთ ოჯახში: ცოლ-ქმარი—ქმარი მზარეულათ და ცოლი—მოსამსახურეთ და მესამე ლაქიათ. იკითხეთ: წყნეთის ქუჩა, სახლი ლილიპუტოვისა № 20. ვაზნო კოზაშვილი.

(2—197—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს იმ პირთ, ვისაც ჰსურს იკისროს გრანიტის კუბიკების წარმოდგენა ქალაქის ქუჩების საუკეთესო სისტემით მოკირწვლისათვის, ამა წლის 1-ლ დეკემბრის დღის 12 საათამდის წარმოადგინონ გამგეობაში დაბეჭდილ კონვერტებში თავიანთი დაწერილებითი განცხადებანი იმ პირობების შესახებ, რომლით შეუძლიათ მათ იკისრონ ხსენებულ მასალის წარმოდგენა ქალაქის გამგეობის მიერ ნაჩვენებ ადგილებში მე-8, მე-9 და მე-10 საპოლიციო უბნებში. პირველად მოტანილი უნდა იქნას არა ნაკლებ 500 ოთხ-კუთხი საჟენისა (200.000 თანა) არა უგვიანეს მომავალ წლის 1-ლ მაისისა. შემდეგი ვადები კუბიკების მოტანისა პირობებში უნდა აღნიშნონ, ხოლო სავალდებულოა, რომ მომავალ წლის 1-ლ ოქტომბრამდე მოტანილ იქნას 1500 ოთხკუთხი საჟენი (500.000 თანა). საზოგადო ტეხნიკურ პირობებისა და აგრეთვე სხვა პირობების შეტყობა და მიღება შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში, ქუჩების მოკირწვლის კომისიის კანცელარიაში, ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე. განცხადებები მიიღება მხოლოდ დაწერილი და კონვერტებში დაბეჭდილი ზედ-წარწერით: „Къ конкуренціи на поставку матеріаловъ для новаго мощенія г. Тифлиса“. განცხადებებში დაწვრილებით უნდა იქნას აღნიშნული: 1) სად იქნება მოტეხილი გრანიტი და რა ხარისხის იქნება და 2) რა ეღირება მოტანით 1000 თანა კუბიკი.

ის მოიჯარადრეები, რომელთ დაეკისრება მასალის მოტანა, მოვალენი იქნებიან, 15 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შეატყობინებენ, შეიტანონ გამგეობაში ბე; ამისთვის განცხადებებში უნდა იქნას აგრეთვე აღნიშნული რამდენს წარმოადგენს მოიჯარადრე ბეს აღებულ საქმის რიგიანად ასრულების უზრუნველყოფისათვის.

(ნ. 3—2)

სამკურნალო

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა.** მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭიროა წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა.

(15—187—6)

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლოდ-ქუჩულში

დაიწყო გაყიდვა **დამყნილ** დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე **ვაზის რქები** საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის, მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისთვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის. В. Тьебо Кутаисъ.

(10—6.—3)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ 15 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.л Т—ва.)